საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე ტარიჭისძე

იოანე ტარიჭისძე, XI–XII სს. ქართველი მთარგმნელი. ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობაში" (XVIII ს.) მას ეძღვნება ორსტროფიანი იამბიკო, რ-შიც ნათქვამია: ი. ტ-მ „გვთარგმნნა წიგნნი, შეგვმკო ეკლესია", საქართველოში „სწავლა განჰფინა".

„ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ნუსხის გვიანდელი მინაწერის მიხედვით, რ-იც ს.-ს. ორბელიანს ეკუთვნის, ი. ტ. საზღვარგარეთ მოღვაწეობდა. იგი დაახლ. 1114 დაბრუნდა საქართველოში თეოფილე ხუცესმონაზონთან და არსენ იყალთოელთან ერთად. კ. კეკელიძე ი. ტ-ს ნეოპლატონიკოსად სახავს და მას მიაწერს ამონიოს ერმისის 2 თხზულების თარგმანს, რ-ებსაც სხვა მკვლევრები (ს. გორგაძე, ი. ლოლაშვილი) იოანე პეტრიწს მიაკუთვნებენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღორძინების ხანის მწერლებს ი. ტ. შეიძლება ერეოდეთ იოანე პეტრიწში.

ლიტ.: ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის *გამოც.*, თბ., 1968; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ი. ლოლაშვილი